



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED
TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE



LIO 3 22 00165241

01/08/2022

მოქალაქე მართა მხეიძეს

ელ.ფოსტა: foi+request-725-cc283063@askgov.ge

ქალბატონო მართა,

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში მიმდინარე წლის 29 ივლისს რეგისტრირებული MOH42200160346 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია 2017-2021 წლებში სამშენებლო სექტორში გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია, წარმოგიდგინოთ სამსახურის მიერ დამუშავებულ ინფორმაციას:

პირველ რიგში გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც პირველ ეტაპზე გავრცელდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ხოლო, 2019 წლის 19 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კანონი გაუქმდა და მიღებულ იქნა ორგანული კანონის სახით, რომელიც 2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე. აქვე მოგახსენებთ, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია, შეატყობინოს ზედამხედველ ორგანოს საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ. შესაბამისად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვასა და კლასიფიცირებას ახდენს საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი შემთხვევების მიმართულებით. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში დამსაქმებელს, მათ შორის, მათ ვისაც არ გააჩნდათ ვალდებულება 2019 წლის სექტემბრამდე, შეეტყობინებინათ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ, 2019 წლის სექტემბრიდან გაუჩნდათ ეს ვალდებულება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2019-2021 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა სტატისტიკის პირველწყაროს წარმოადგენს შრომის ინსპექციის სამსახური, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია საქმიანობის წლიურ ანგარიშებში.

შრომის ინსპექციის სამსახურის, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.moh.gov.ge/ka/456/>.

2019-2020 წლებში შეგროვებულ/დამუშავებულ ინფორმაციას იხილავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშებში, რომლებიც ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.moh.gov.ge/ka/728/>.

აქვე შეჯამებული სახით წარმოგიდგენთ 2019-2021 წლებში სამშენებლო სექტორში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობას წლების შესაბამისად:

2019 წელს გარდაიცვალა 29, ხოლო დაშავდა 54 დასაქმებული;
2020 წელს გარდაიცვალა 11, ხოლო დაშავდა 44 დასაქმებული;
2021 წელს გარდაიცვალა 18 , ხოლო დაშავდა 50 დასაქმებული.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
ნათია ბუბუტიეშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

